საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 202

სამშაბათი, 18 სექტემბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

გაზეთი ღირს:

	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 202

სამშაბათი, 18 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კნეინა ნატალია ნიკოლოოზის ასული აბაშიძისა, კნეინა პელაგია ნიკოლოოზის ასული ფაღავასი და ნინო პლატონის ასული ჩხეიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 ამა ენკენისთვეს, სოფელ ბანძას სენაკის მაზრის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პირველთა დედისა და უკანასკნელის ბებიასი, განსვენებულის

ანნა რევაზ ნიჟარაძის ასულის ქორქაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—202—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს 1901 წ
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

დაქცეული ოჯახი

კომედია 3 მოქმედებად, თხზ. სუნდუკიანცისა.

რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დაბრალებს.

ვოდ. 1 მოქმედებად, თარგ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ასო აბაშიძე, მდივანი, გარელი, აბხაზიშვილისა, კავთელი, ჩიქოვანი, ვიშვილისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა კვირას, 23 სექტ., მზადდება ახალი პიესა: „ირინეს ბედნიერება“. (3—6.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი აგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

შ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ-აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ფელეტონი

—

ქიზიყის მწუხარება

(სურათი)

— სამოცი წლის კაცი ვარ, კაცებო, და ეგეთ ყველაფრით ამოწყვეტილ წელიწადს არ შევწრებულვარ ჩემ გამოჭდაში. ზამთარში თოვლის ნასახი ვერავინ ვნახეთ და გაზაფხულში—წვიმა. არც წლევანდლისთანა დაწიეებული ქარიანობა მახსოვს, რაც თავი შამიჭწავლია. ამ საქროლავ-ძაღლმა ქარებმა უფრო ეშმატივით გააფიტეს და სიხიმშიატე გამოულიევეს დაგვალულ დედამიწას. ეგეთმა უდიერმა გვალვამა და ქარიანობამ გვიყო კიდეც, რო შამოდგომის ნათესობას ვერას გამოვრჩით და გაზაფხულისა უარესათ დავეღუპა. ოც-და-რვა დღის ნახნავის პატრონს მიხაროდა: იქნება წლეულ მაინც ამოვიდე სიღარიბიდამ უქონლობით დატანჯული-მეთქი, და ქათმებისათვის საკეკიც არ მამივიდა! ემრე თესლი დავთესე დოლი-ყანისა, თესლი, რო ბნელ ღამეს გაანათებდა იმისი ხვავი ჩირაღივით. ფუუუ! გელმა შაჭამოს ჩემი ბედიმწერალი, აი შავ-ბედზე მე იმას დაუწერივარ. ვაჰ! სხვა არა მინდოდა-რა, ერთი ი ჩემი სულთამხუთავი ბედიმწერალისათვის ხელი მატაცნინა ი ყანყრატოში, რო ლაყი კვერცხივით დამეხეთქებინა მიწაზე, ყარფუზივით გამეხეთქნა წიხლით და თავზე დამეფხრიწნა იმისთვინ ი უსამართლო „ბედის დავთარი“, ზოგისათვინ რო ცარიელი მჭადის ლუკმაც არ ემეტება და ზოგი-კი ყელთამდინ ზღვისოდენა დოვლათით აუვსია, ი მგლის მუცელში გასაძვრენს!..—კბილების ღრაჭუნით და თვალების ბრიალით წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვები გულ-გამეხებულმა, ზორბა მხარბეჭიანმა გლეხ-კაცმა საფქვავ-გამოლეულ წისქვილივით დამდგარ სამიკიტნოს წინ მრავლად თავ-მოყრილ ხალხში, რომელიც ერთ ადგილას შეჯგუფებული მაწონივით შედედებულიყო, და იმხელად მეც იქ მოვეტანე გზად მიმავალი, ყალიონის ცეცხლისათვის, რადგანაც ნესტიან „მახორკას“ სპიჩკა არ ედებოდა და ტალკვესის ჩხლაკუნიც არ მეწადა.

— პატა ვენახებს-ღა ედგათ პირში სული და, ღახეთ ჩვენ უყისმათობას, როგორც ღილასა ვნახე, ისინიც ხელიდამ წაგვსვლიან, კაცებო. უდიერ სიცხეს რო ნაწვენამდინ ჩაუტანებია ყავარ-ყაყარ დახეთქილ მიწაში, ფოთოლი დაჭწვია და გაჭცვივნია, მტევანი დახუწუწებულა და ძრიან ბევრი ვაზი და ხეხილიც გადამხმარა, ის ბალთამანი! აღდგომის კვერცხივით შავხაროდი: ორიოდე ჩაფს მაჭარს მაინც გავყიდი ლუკმისათვინ-მეთქი, და ისიც ხელიდამ გამომაცალა მამა-უფალმა, დაილოცოს იმისი სამართალი. ნეტავი აიგეთი კარგი მაინც არა ყოფილიყო, კაცებო, ი სატიალო! გაზაფხულზე ჭინჭრიყვავილივით ეყარა ი მტევანი და ღვთის თვალი შიგა ტრიალებდა. ზოგი ვაზი კიდე იგეთ დოლზე იყო მოსული გასათხოვარ გოგოსავით, რო თითოიდამ თითო გოდრულა ყურძენი ჩამოვიდოდა, უფლის მადლმა! იგრე საყვარლათა მქონდა ახვეულ-აკონილი, ორჯელ გათოხნილი, ფოცხით დავარცხნილი და იგრე დახატულათაც ეყარა ფოთოლ-ნჟოლივით ი საამებელი მტევანი, რო თვალი ზედ დაგრჩებოდათ და მაშინვე ამას იტყოდით: ნეტავი შენ პატრონსო! მაგრამ, ეჰ, გატიალდეს და გამუდრეგდეს, როცა ღმერთი კაცზე ხელს აიღებს, ყველა უკულმა დაუტრიალდება, აღმართშიაც ქვა მეეწევა და ვაკეზედაც ურემი გადუბრუნდება. იგეთი ვარ, კაცებო, ბოლმისაგან, ხანჯალი რო დამცენ, წვეთი სისხლი არ გამვარდება. სიღარიბით ძვლებამდინ გამოხრულს სული კბილით-ღა მიჭირამ და თავბედისა აღარა გამეგება-რა, რა ვქნა და რა უყო: პური მე არა მაქვ და ფული, ცხვარი მე არა მყავ და ძროხა, ან ცოლ-შვილი რით შავინახო, ან ათასი ხარჯები და ბოჯები რით გავისტუმრო, ან რა დავთესო სამმრისოთ. ორი წილი ხალხი უხნავ-უთესი დავრჩებით წლეულ და იგრე დავიღუპებით საკულათაც, რო ბარემ ეხლავ წავიდეთ და ზღვაში გადავცვივდეთ ყველანი, ის გვირჩევნია ათასწილათ გამჩენის მადლმა!—სახე-დაღვრემილი მწუხარებით წარმოსთქვა მეორემ.

— ეჰ, ბრანი ჩვენი, რო წელიწადში თორმეტი ურემი დაფქულიც არა ჰყოფნის იმოდენა ჩვენ ჯალაბობასა და მოჯამაგირეებს. ნეტავი პატაოდენი ძველი სულადი მაინც შამოგვრჩომოდა, ან სათესლე მაინც ჰოგვსვლოდა და კიდე იოლი იყო, მაგრამ სად არი, აბა. ასი თუმნის პურიც ძლივს გვეყოფა გაისამდინ, კაცებო, არც ფული გვაქ, ის ბალთამანი, და არ ვიცით, რა ვქნათ, ვლონდებით და ვძმარდებით,—სთქვა ოჯახიშვილმა.

— ღმერთმა მოგცეთ, თქვენი ცხვარი და ძროხა მინდორს აბნელებს, გაჰყიდით და იყიდით. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ სიღარიბით გაწყალებულმა, საძაღლ-ღორეთ გამხდარმა უხარო ხალხმა, წელმატლიანი თავის მოსაფხანი ჰწკილებიც რო აღარ გვაბადია ხეჩობალიას ვალებისაგან სახრავ ატამივით ძვლებამდინ გამოხრულებს,—მოიჩივლა აკონკილ-დაკონკილ ფარაჯაში გახვეულმა ნაბდიქუდამ და დაუმატა:

— აბა ეგეთ გაჭირების მორევში ჩავარდნილი ხალხის ჭაპან-წყვეტაში შაიძენენ ხაზინებს ასატურა-ხეჩატურები და თითონ ის ჩვენი ფულის გამსესხებელი, ურიათ-ნაქცევი ქართველებიც აი! იგეთ კრუხებს დაუწყობენ ის მგლის მუცელში გასაძვრენები თავიანთ ცოდვით სავსე მანათებს, რო თითო მანეთს თითო თუმანს კი გამააჩეკინებენ ახალმოსავლამდინ და! გეშინიანთ, ვერავის აცდენენ დამღუპავ მახეში გასაბმელათ-რა. იმათი მაცდური ენა დალმა მიმავალ ალაზანსაც აღმა მიაბრუნებს. ტეტიები ჰქაფამენ, პოლოსები და იმათი მგზავრები ჰყლაპენ, და შიმშილობა ამოგვწყვეტამს იმათგან გამოხრულ ღლიღვებს, მარა ჩემი ფეხები იქნება!

— შენ ჰწორე ხარ კუზიანზე, ბაბაყო, მაგრამ ეს კი დაგავიწყდა. სოფლიჭამია მოხელეები და ნიკორა-კარტუზიანებიც კი ჩაცვივიან, ბიჭო, წლეულ ქერის ორმოში! ქრისტიანი სული არავის ედგა იმათში, და ეხლა უფრო უცეხლოთ დაგვწვემენ და უდანოთ ყელს გამოგვჭრიან თავიანთ უძირო ჯიბე-მუცლისათვის. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოთვალოს კაჟმა თითებზე, ყველა ჩვენა გვწველის, გვკრეჭვს და გვატყავებს—ადვაკანტიც, აქიმიც, მკითხავიც, ქადაგიც, ლეშიჩიც, ვაჭარიც, ჩაფარიც, ჩინოვნიკიც, პრაოჩკიც, სეკლეტარიც, მეკლეტარიც და სხვა ათასი ძაღლი და ღორი. ერთმა ღორმა მთელი ჯავახეთი ამაგდოლო, იტყვიანჯე, და ჩვენ კი თითო სოფელს ათასი ამომღები ღორი გვყავს და დავილუპებით ფიტ-მიაურაევით, მარა ჩემი ფეხები მოგვივა. ან-კი პირში სული როგორღა გვიდგა, კაცებო, იმათ ხელში, ესაც დიდი საკურველია, რჯულის მადლმა!—ისლომონბრძენმა მეოთხემ.

— მართალს ამბობთ, კაცებო, მაგრამ, მაგარიც ეს არი, რო ჩვენი ეგეთი გაჭირების დუხჭირობაში ჩავარდნა ჩვენი ბრალიც არი და უფრო-კი ი ჩვენი უტვინო, შატბუტა დედაკაცებისა. **ის შრატძღლები** ეგეთ ძირფას, **ახალ-მოდის** ტანისამოსებს იკვამენ **და იხურამენ** და იგეთ კალოშებიან **პოლსაპუქკებს დააჭრიჭინებენ** თავიმეწონეთ,

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.
გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ † კვირას, 16 სექტემბერს, ირაკლის აბანოში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის მოურავი გიორგი გრიგოლის ძე ევანგულოვი. განსვენებული საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზედ სრულიად კარგად ყოფილა, აბანოში წასულა და მხოლოდ აქ უგრძვნია უცბად, რომ ცუდად არის.

განსვენებული გიორგი გრიგოლის ძე ევანგულოვი დაიბადა 15 ოქტომბერს 1843 წ. 1863 წ. ტფილისის გიმნაზია დაასრულა და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულს ფაკულტეტზედ; 1867 წელს უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ დანიშნულ იქმნა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ; მაგრამ მალე თავი დაანება და კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესს სამართველოში გადავიდა მოხელედ. 5 წლის შემდეგ იქაც დაანება თავი და, ვიდრე 1897 წელს ქალაქის მოურავად ამოირჩევდნენ, ნაფიც ვექილად იყო ტფილისში.

⁂ ნაფიცი ვექილის კრასოვსკის ბინაზე ლაბორატორიის ქუჩაზე, ენიკოლოფოვის სახლში, 15 სექტემბერს ღამის ათების დროს უეცრად გამსკდარა ბენზინიანი შუშა და ცეცხლი მოსდებია სახლს, მაგრამ მალე მიჰშველებიათ და ცეცხლი ჩაუქრიათ. დაშავებულა მოსამსახურე ქალი გერასიმოვისა, რომელიც მაშინათვე საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს მისწერა გუშინ, 17 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის გამგებამ, რომ ტფილისის მოურავის გ. გ. ევანგულოვის გარდაცვალებისა გამო მოურავის თანამდებობის აღსრულებას დღეიდგან გამგეობის უფროსი წევრი ე. ხოსროევი შეუდგა, ვიდრე მთავრობა ქალაქის მოურავის მოადგილეს შესახებ აღძრულს საკითხს გამოარკვევდეს.

⁂ გუშინ, 17 სექტემბრის სხდომაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა გარდაცვალებულის ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის სახელის პატივსაცემლად ტფილისის საბჭოს დარბაზში გარდახდილ იქმნეს პანაშვიდი, რომელზედაც მოწვეულ იქმნენ ყველა ხმოსნები და თანამოსამსახურენი; განსვენებულის სახლობას სამძიმარი გამოუცხადონ და მისი კუბო ქალაქის სამართველოს სახელით გვირგვინით შეამკონ. გასვენების დღეს შეწყვეტილ იქმნეს მუშაობა ქალაქის გამგეობაში და აგრეთვე იმ ქუჩას, სადაც ევანგულოვი სცხოვრებდა, დაარქვან ევანგულოვის ქუჩა. გამგეობის ეს დადგენილება ქალაქის საბჭომ გუშინდელ სხდომაზედ შეიწყნარა და, ამას გარდა, დაადგინა განსვენებული ქალაქის ხარჯით დაასაფლავოს.

⁂ გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი დღეს, 18 სექტემბერს, კავკავში ჩამოვა და აქედგან ავტომობილით დილით, 19 სექტემბერს, ტფილისს წამოვა.

⁂ როგორც ბათუმიდგან იუწყებიან, ბათუმსა და ჩაქვს შუა მე-95 ვერსზედ ჩატეხილი ხიდი 17 სექტემბერს უკვე გაუკეთებიათ და მატარებლების მიმოსვლაც დაწყებულა.

⁂ შაბათს, 15 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა ბერლინელი პროფესორი ბ-ნი ვაგნერი, რომელიც ჩვენს თანამემამულეს დ. ზ. სარაჯიშვილსა ჰყავს სტუმრად მოწვეული.

⁂ კავკასიის ჟურნალ-გაზეთების მოღვაწეთა მომავალს კრებაზედ, რომელიც განზრახულია გამოფენის დროს იქმნეს მოწვეული, უფლება ექმნებათ დასწრებისა ყველა იმ ლიტერატორებს და თანამშრომლებს, რომლებსაც რომელსამე ჟურნალისა ან გაზეთების რედაქციიდგან ექმნებათ რწმუნების ქაღალდები და აგრეთვე იმათ, ვისი წარმოებიც თვითონ კრების ბიუროს მიერ ცნობილი იქმნება.

⁂ სამხედრო სამსახურის მოსახდელად წრეულს ტფილისის ჯარში გაიყვანენ სულ 188 ყმაწვილს კაცს. ტფილისის მაზრიდგან ჯარში გასაყვანად ჩანიშნულია სულ 184 კაცი. ქალაქის სამხედრო საკრებულო 15 ოქტომბრიდგან დაიწყებს მოქმედებას.

⁂ ტფილისის ერთს მხცოვანს მოძღვართაგანს, კადეტთა კორპუსის საღმრთო სჯულის მასწავლებელს დეკანოზს ა. მანსვეტოვს კვირას, 16 სექტემბერს, შეუსრულდა 50 წელიწადი მღვდლობისა.

⁂ გარდაწყვეტილია საიუბილეო დღესასწაულობის დროს კვირაცხოვლის მთა იქმნეს საგანგებოდ გაჩირაღდნებული.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის სამსახურის უფროსს განკარგულება მოუხდენია, რომ დატვირთული ვაგონებიდგან ქურდობის მოსასპობად კარების ყურები, რომლებსაც პლომბები აქვს ჩვეულებრივად გაკეთებული, ზემოდგანა და ქვემოდგან მავთულებით იყოს გადაგრეხილი.

⁂ სომხურის ჟურნალის „მურჩის“ გამომცემელი ბ-ნი კრასილნიკოვი ამავე ჟურნალის რედაქტორად დაუმტკიცებიათ.

⁂ 15 სექტემბერს, დილის 5 საათზედ, აგურხანის ქუჩაზედ, სარაჯოვის სახლის კარებთან იპოვნეს 7 დღის ბოვშვი მამრობითის სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

⁂ გუშინ-წინ, საღამოს 8 საათზედ, მუშტაიდის შესავალთან ვიღაც ახალგაზდა სომეხი, რომლის ვინაობაც ვერ გავიგეთ, კონკის ქვეშ ჩავარდა და ორივე ფეხები მოიტეხა. საბრალო კონკაზედ ავიდა, მაგრამ, რადგანაც ადგილი არ იყო, ისევ ჩამოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც მეორე კონკა ზედ მოადგა. ამის გამო ვეღარსად წავიდა და კონკებს შუა ჩავარდა.
დაშავებული მიხეილის საავადმყოფოშ
გაგზავნეს.

⁂ პოლიციის მე-4 ნაწილში 14 სე
ტემბერს მისულა რუსეთის სანავოსნო სავა-
ჭრო საზოგადოების მოიჯარადე არზუმა
ავაქოვი და განუცხადებია, რომ მას ვი-
ღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰპარა ყუ-
თი, რომელშიაც 500 მან. ღირებული აბ-
რეშუმის ქსოვილები ჰქონდა. პოლიცია
ერთი ქურთდაგანი ერევნის გუბერნიი
მცხოვრები თათეოზ ყაზარიანცი უკვე და
პატიმრა, რომელსაც ერთი ნაწილი მო-
პარულ ნივთებისა აღმოაჩნდა.

⁂ როგორც ქუთაისის რკინის გზი
სადგურიდგან იუწყებიან, 15 სექტემბერს
დილის 11 საათზედ, რკინის გზის სადგური
შენობაზედ მუშაობის დროს მუშები ნიკო-
ლოოზ ზაბუშკა და იაკობ სავოჩკინი გაუ
ფრთხილებლობის გამო უცბად გადმოცვე
ნულან და ძლიერ დაშავებულან. დაშავე
ბულნი ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოშ
გაუგზავნიათ.

⁂ 14 სექტემბერს, საღამოს 10 საა
ზედ, რკინის გზის მატარებლების გამოს
დის დროს ტფილისის სადგურის მეისრე
ალექსი ირემაშვილს ორთქლმავალი და-
ჯახა და მხარში მძიმედ დააშავა. და
ვებული მაშინვე საავადმყოფოში იქმნა გა
გზავნილი.

კავკასიის გამოფენა.

შაბათს, 15 სექტემბერს, კავკა
სიის სამეურნეო სამრეწველო
გამოფენა დაათვალიერა ტფილისის
სხვა-და-სხვა სასწავლებლებიდგა
266 მოსწავლემ.

⁂

კვირას, 16 სექტემბერს, კარგი
ამინდისა და იაფ ფასიან ბილეთე
ბისა გამო გამოფენის დასათვალიე
რებლად მოვიდა სულ 13,000-მდე
კაცი.

იტყვი კაცი ვინმე დიდი, ბწყინვალე თავადიშვილის კოხტაპრუწა ქალები და ცოლები არიანო. გრომშიც რო არ გებადოს, მეტი გზა არალი, ურიის ვალ-ვახჩში უნდა ჩაჰდგე—ჩალის ფასაც მომავალი ჭირნახული დაუწერო—და უყიდო იმ წენტ-ძაღლებს, თორე თავზე ცეცხლს დაგანთებენ გაათრებულ ტყაჭაურასავით: მავანსა და მავანს კი ესა და ეს აცვიათ, ჩვენ რაღათ უნდა ვიყვნეთ ქვეყანაში გამორჩეულებიო. აი, გამაერ ჩივნენ ისინი ქვეყანაში, რო ჩვენი სახლისა და ჯიბის ბარაქა იმათგან არი გამქრალი. ეხლამდელი ჯეილი კაცებიც იმაში ვართ დამნაშავე, კაცებო, რო რაც არ შაგვეფერის და რის სყიდვაც ნიათს გვიქრობს, იმას ვიცვამთ და ვიხურამთ, როცა-კი ერთ-ორ გროშ მოვიგდებთყე ხელში. ერთმანეთის ჯიბრითა და წახედულობით ქვითკირის სახლების აშენებამ ხო გაგვაწყალა ყველანი. თეთრი თხა მსუქანი ეგონათო, ამისი არ იყოს, უყურებენ გარედამ ჩვენ კრამიტიან სახლებს, ჩვენ ჩაცმა-დახურვას, და იმოდენა ფოპტიფულს გვიმატებს მუდამ წელიწადს მთავრობა, რო აპალთია დედამიწაჰთან გავწორდეთ კუდამდინ გატყავებულები. ერთი ჩვენ ძაღლუმაღლო ცხოვრებასაც უყურონ შიგნიდამ და ჩვენ გამოფხეკილ ჯიბეშიაც ჩაიხედონ იმ დალოცვილებმა-და! მაგრამ როცა არც ჩვენი სამგლე დედაკაცები გვზოგამენ და არც ჩვენა ვზოგამთ ჩვენს თავს, მთავრობა რაღათ დაგვზოგამს, რა გიჟი იქნება! ჰო-და, მოდი შენა-და ბარაქა-ლა მოჰკიდე ოჯახს, ფიტი მაიკარ და ყვითელი ოქრო გადადე შავი დღისათვინ. მადლი და ხეირი აღარაშია, კაცებო, არა! ჩვენი ეხლანდელი ჰაპანწყვეტის ცხოვრება ცხოვრება-კი არ არი, ჯოჯოხეთია. დაილოცოს უწინდელი დრო, როცა კაციც და დედაკაციც, ბიჭიც და გოგოც ყველანი შინ მოქსოვილი ხამ-ლაინის ტანისამოსით დავდიოდით, და ეხლანდელ ჩაცმა-დახურვას და ამოდენა დუქნებს სიზმრათაც ვერავინა ჰნახამდა იმდროს. აბა, მადლიც მაშინა ყოფილა ხალხში, ხეირიც, ულეველი ბარაქაც და ტკბილი ცხოვრებაც.

—იგრე დრუჰტათ იტყვიყე სუყველას, შე დასაქცეო, იტყვი კაცი ჩვენ გულში იჯდაო.—ემაგითანა მარილიანი ლაპარაკი იცის და აკი ნაჩალიკსაც იმიტო მიაჩნია.—დურმიშხანის ფხიანი სიტყვა ფხუწასათვის გემეედება ხოლმე ადამიანს.—როგო თანდითან უფრო გამაიჩირჩნა, ეს დასაქცევი!—მამასახლისობა მივცეთ დურმიშხანს, კაცები, მამასახლისობა.—აბა, დურმიშხან, დაფქვი კიდე ან ძველი, ან ახალი, ან ავი, ან კარგი, ან... რა ჩემი ფეხები ვიცი, რაც შენ გინდა.—ნამდვილია რაც შენა ჰთქვი, დურმიშხან, ნამდვილი!—მოუწონეს აქათ-იქიდამ დურმიშხანს, რომელიც ცოტა არ იყო სტვირის გუდასავით გაიბერა გუნებაში იმათი ქებისაგან და უფრო თამამად დაიწყო.

—ნამდვილია-და, კიდევაც გეტყვით ნამდვილს, კაცებო. ეხლანდელი ჭირისა და ლხინის გაუმაძღარი წვეულობა ხო ჩვენი ცეცხლზე წყლის დამსხმელი და დამნელებელია. შხამა-ზოკოსათვის გამრავლებულმა, ამოდენა სამიკიტნოებმა კიდე ლამის არი ჩვენი უკანასკნელი ქამარ-ხანჯალიც ჩასახეთქ მუცელში ჩაგვანთქმევინონ. ერთმანეთის დავა-საჩივრებში მოცდენა და ხარჯვაც ხო ჩვენი საყვარელი ხელობაა. კოვზით ზღვა დაილევა და წვეთით ზღვა შადგებაო, ამისი არ იყოს, რა გინდა, შე მეჩით-ძაღლო თათარო, ყველაში ხელ-მოჰკირნეობა გავწიოთ, ჭირნახული ჭირნახულს მიუმატოთ, წვეთი წვეთსა ვკრათ და იგეთი ზღვა დავაყენოთ ჩვენას ჭირის ოფლით მონაგარი ქონებისა, რო თვრამეტმა ამითანა მოუსავლობამაც ვერა დაგვაკლოსრა. მაგრამ ჰკვა-ძაღლები ვართ ჩვენცა და ჩვენი დედაკაცებიც, და აკი ამიტომ დავეფალით კიდეც უგუნურ ვირივით ღრმა ტლაპოში. ეხლა, რაღა თქმა უნდა, ყველანი ჩვენ მოგვდგებიან დიდი ჯოხებით და იმთენს მოგვარტყამენ კუდამდი დაფლულებს ჰაჩი ვიროს ძახილით, რო ნახევარიც ვერ დავთვალოთ. აჰყია ჩვენთვის, აჰყია! რაც კაცმა თავის თავს უყო, ქვეყანაც ვერ უზამდაო,—ნიშნის მოგებით წარმოსთქვა დურმიშხანმა, რომლის სიტყვაზედ ზოგიერთნი ისევ იცინოდნენ და ყაყანებდნენ.

—იცით, კაცებო, რა უნდ გითხრათ,—წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ დურმიშხანმა: როცა კი ჩვენ მწარე ცხოვრებაზე დავფიქრდებიყე, გული მაშინვე ამას მეუბნება: ჩვენითანა რეგვენი, კერპი და შაუსმენარი ხალხი არაში უნდა შაიბრალოს ადამიანმაო. ჰო-და რათ უნდა შაგვიბრალოს ვინმე ეგეთი უგუნურები. ერთი მატყუარა, სათოკე მკითხავის სიტყვით გაბრიყვებული ათას დაშორებულ ხატი-გზაზე დავეღეტებით მთელი სოფელი, რამოდენასა ვცდებით, რამოდენა ფულსა და მზვარა-კურატებს ვაჩანაგებთ ცუდ-უბრალოთ, ხშირად ავანტყოფებიც გზაში გვეხოცებიან; და ვინმე ნაჰწავლმა კაცმა რო დაგვარიგოს ათას რამ-საკეთილო საქმეზე, იმის დარიგებას-კი ყურშიაც არ შაუშვებთ, და პირს უკან ლანძღვა-გინებასაც დაუწყებთყე სიცილ-ხარხარით: ჰაი, იმის მამასა და დედას კი აგრე და იგრე უყა;, ეგ რაღას მიჰქარამს და მიედ-მოედება, როგორც ჩვენ მამა-პაპას უცხოვრია, მეც იგრე უნდა ვიცხოვროვო. აგე, კაცებო, რა შორ მივდივართ, ვინც შარშან ვენახს უწამლა, ღვინოც გულ-უხვათ მოუვიდა, ვინც არა—კუფხალიც ვერ მოწყვიტა, რო ტაბლაზე მაინც დაედვა მკვდრის მოსახსენებლათ. მაგრამ მაინც კიდე არა ვტყდებით და ეგეთი დღესავით ცხადი საქმე—ვაზის წამლობაც არ გვჯერა ჩვენი გაჯიუტებული სირეგვნით. რეგვენი ჭირის ღირსიაო, და აკი მამა-უფალმაც ამიტო მოგვარგინა ჩვენითანა შაუსმენარ რეგვენებს ამითანა საჭირვაგლახო უმოსავლობაც, ვენაცვალე იმას ი სამართალში და საქრიჰტავში! ეხლა მაინც შავაფურთხოთ ეშმაკს და
ჰკვაზე მოვიდეთ ჩვენცა და ჩვენ
ქალ-მანდილოსნებიც, კაცებო! თო
რე ჩვენი ათასნაირი შაუსმენარ
სირეგვნით და ძვირფასი ჩასაცმელ
დასახურებით უფრო მეტად დავი
ღუპებით, მაღალი უფლის მადლმა

ხალხმა გამოურკვეველი ყაყან
და ზაყზაყი ასტეხა უცბად და ბო
ლოს მალევე დაცხრა და დაშო
შმინდა უქარიშხლო ზღვასავით.

— დიდი საცოდაობა დატრიალ
დება ჩვენულ ქიზიყში, კაცებო
დიდი! იგეთ საქმეს გაგვიხდის უპუ
რობა და უფულობა, რო კიდითაც
ვეღარ გვაყენებდნენ გაზაფხულზე
თუ კი როგორმე გავახწიეთ იქა
მდინ და საიქიოს გუდა-ნაბადი ა
აგვაღებინა შიმშილობამ. ჯერ სა
არი, ჯერ კიდე ხილი-ხულითა დ
ნარჩომ-ნურჩომით ვაჩუმებთ და ვა
ლორებთ ჩვენ ჩასახეთქ მუცელს
აბა დადგეს ზამთრის პირი და ჩამო
ყაროს თოვლი, ჰაპანწყვეტა მაში
ნა ნახეთ-და, შიმშილისაგან თვალთ
დაშავებულებს რო ბუზები აქლემე
ბათ მოგვეჩვენებიან და აქლემები—
ბუზებათ! ვაი-ვაი-ვაი! რა შავი დ
ბნელი დღე დაგვადგება, კაცებო
ი საფანელი რი. პირწმინდათ გამო
გველევა ყველას და შველა აღარ
საიდამ გვექნება გაჭირების მახრჩო
ბელა მორევში ჩაცვივნილებს!..
იწინასწარმეტყველა ხნიერმა კაცმა

— რას ამოფ, კაცო, გლეხკაცო
მეორე ღმერთი გუთანიაო, და გ
ჭირების მორევში მაშინვე ჩავარდ
ქიზიყი, როცა თავისი მაცხოვრებე
ლი მინდვრები პირწმინდათ დაეღუ
პა. კახეთი რო დამშივდეს, ქიზიყ

დაბა და სოფელი

ნოჯიხევი (ზუგდიდის მაზრა). 3 სექტემბერს აქ საქალებო ერთკლასიანი სასწავლებელი აკურთხეს, რომელიც ქუთაისის „ზავედენიის“ მასწავლებლის ბ-ნის სპირიდონ ბ. ჯორჯიკიას და მისის მეუღლის ვერა ნიკოლოზის ასულის მეცადინეობით იქმნა გახსნილი. სკოლა ჯერ-ჯერობით კერძო სახლშია მოთავსებული და მასწავლებლად მოწვეულია ქ-ნი ეკატერინე სიჯინავა, რომელიც აგერ ოთხი წელიწადია მასწავლებლობს. პარაკლისი გარდაიხადა მღვ. ნიკოლოოზ სასანიამ. პარაკლისს დაესწრნენ: ხოპის მონასტრის არქიმანდრიტი მამა სიმეონი, რომელიც ამ ახლად გახსნილი სკოლის ზედამხედველად ითვლება, და პარაკლისის შემდეგ ივანე გიორგის ძე ჯორჯიკიამ მოკლედ აუხსნა იქ მყოფთ, თუ ქალთათვის სწავლა-განათლება რა დიდს საჭიროებას შეადგენს. დამსწრეთაგან სასწავლებელს შემოსწირეს: მ. არქიმანდრიტმა 20 მანეთი; ქ-ნმა ნინო ივ. მეუნარგიასამ ჯერჯერობით 10 მანეთი; ივანე გიორგის ძე ჯორჯ—ამ 10 მანეთი; მკურნალმა გიორგი ივ. ჯორჯ—ამ ჯერ-ჯერობით 10 მანეთი; მასწავლებელმა ვლად. გაგუამ 5 მანეთი; მღვდ. ნესტორ სასანიამ 3 მანეთი; ბ. ბ. გვასალიამ—3 მ.

— სოფელში სიმინდის მოსავალი გვარიანია. ყურძენი (ადესა) ძალიან ნაკლებად არის, რამაც სოფლელები ძალიან დაგვალონა; ძველს სიმინდს (ესე იგი შარშანდელს) რაღაცა პეპელები გაუჩნდა, რომლებიც მარცვლებიდგან გამოდიან. როგორც აქა-იქ გლეხებში გავიგონე, ახალსაც თურმე უჩნდება. ამ გარემოებამ სხვა-და-სხვა წინასწარმეტყველობა დაჰბადა: ზოგი ამ შემთხვევას მომავალის წლის შიმშილობას აწერს, ზოგი სხვა და-სხვა ავადმყოფობას. კარგი იქმნებოდა აქაური მმართველობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებასა და მცოდნე კაცებს შეჰკითხებოდეს, თუ რა მიზეზია, რომ სიმინდს ეს სენი გაუჩნდა.

ჯ—უ.

თეატრის მატიანე

„პატიოსნება“, კომედია ზუდერმანისა, თარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ.

„პატიოსნება“ საუკეთესო პიესაა ნემეცთა მწერლის ზუდერმანისა. დრამატურგმა სახელი მთელს ევროპაში სწორედ ამ პიესით გაითქვა. არც საკვირველია: ნიჭიერად და მოხერხებულად დაწერილ პიესაში ავტორი შეეხო ისეთს რთულსა და საინტერესო საგანს, როგორიც არის პატიოსნება ზუდერმანმა პატიოსნებას ჩვეულებრივ მოკვდავთა თვალით და შაბლონურად არ შეჰხედა. ის საზომი, რომელიც მიღებულია პატიოსნების გამორკვევის დროს, ზუდერმანს ყალბათ და უნიადაგოდ მიაჩნია. პატიოსნება, ავტორის აზრით, ყველას ერთნაირად არ ესმის. „იმდენი აზრი და შეხედულებაა პატიოსნებაზედ, რამდენიც საზოგადოებრივი წრე და კლასია,“ ამბობს კომედიის ერთ ადგილას ერთი მომქმედი პირი. ამ აზრის ნათელსაყოფელად ავტორი უპირდაპირებს ერთმანეთს ორს სხვა-და-სხვა წრის ოჯახს—მდ-დარ ქარხნის პატრონის, ბურჟუაზულ ტრადიციებში აღზრდილის მიულინგებისა და იმათ ხელ-ქვეითის, ღარიბისა და გაუნათლებელის ხეინეკების ოჯახს. მიულინგების ოჯახის ახალგაზრდა წევრი, კურტი, სარგებლობს რა თავის სიმდიდრითა და გავლენით, ნამუსსა ჰხდის ხეინეკეს ლამაზს, ახალგაზრდა და ქარაფშუტა ქალს. ესეთი საქციელი კურტისა იმის ნათესავებსა და მახლობელთ სრულიადაც არ მიაჩნიათ უპატიოსნო საქციელად, პირიქით ხეინეკების მიმართ დიდ წყალობად სთვლიან იმ გარემოებას, რომ იმათმა შვილმა თავი გაუყადრა ღარიბის, ხელ-ქვეითის კაცის ქალს. ხეინეკები პირველად შეურაცხყოფილად სცნობენ თავს, მაგრამ შემდეგ, როდესაც მიულინგისაგან დიდ ფულს მიიღებენ, სრულიად ივიწყებენ ოჯახის შეურაცხყოფას და მადლობითაც-კი იხსენიებენ „მწყალობელს“. არ ურიგდება ამ გვარ შეურაცხყოფას მხოლოდ ხეინეკეს უფროსი შვილი რობერტი, გულმართალი, განათლებული და ამაყი კაცი. 10 წლის უცხო ქვეყანაში ყოფნის შემდეგ დაბრუნებული რობერტი დიდ ტანჯვას იტანს. ამ ტანჯვის მიზეზი, ორია, ერთი ისა, რომ მიულინგებმა ასეთი ჩირქი მოსცხეს იმის ოჯახის პატიოსნებას, მეორე—საკუთარის ოჯახის ზნეობით დაცემა, უძლურება, ამ ოჯახის მიერ პატიოსნების ფულით დაფასება. რობერტი სცდილობს ამ უკულმართობასთან შებმას, მაგრამ ბოლოს მიულინგების ზვიადობითა და ხეინეკების უვიცობით გულ-გაცრუებული თავს ანებებს ოჯახსაც, სამშობლოსაც და მიულინგის ქალთან (ეს ქალიც რობერტივით ვერ ურიგდება მახლობელთ) და თავის მეგობარ ტრასტთან ერთად სამუდამოდ უცხო ქვეყანაში მიდის.

თუ მივიღებთ მხედველობაში პიესის სიძნელეს, ჩვენმა არტისტებმა კვირას, 16 სექტემბერს, რიგიანად შეასრულეს ეს ახალი კომედია. მეცადინეობა, როგორც წარსულ წარმოდგენის დროს, ეხლაც ეტყობოდათ არტისტებს. როლები თითქმის ყველამ კარგად იცოდა. უფრო მოგვეწონნენ ამ საღამოთი ბ-ნნი გუნია, შათირიშვილი და გედევანოვი. ტრასტის როლი, რომელსაც ბ-ნი გუნია ასრულებდა, მეტად მადლიანი როლია, და არტისტმა კარგად და შნოიანად წარმოადგინა. შათირიშვილმა და გედევანოვმა თითქმის უნაკლულოდ ჩაატარეს თავიანთი როლები. ბ-ნმა აბაშიძემაც კარგად დაგვიხატა მიულინგის, ამ საქმისა და ფულის კაცის, ხასიათი. ნაკლულევანება მხოლოდ ის იყო, რომ მსახიობი მიულინგის როლში რამოდენადმე ზიმზი მოვს წაავავდა. სვიმონიძემ სავსებით ვერ დასძლია რობერტის ძნელი როლი. სუსტი იყო კაცებს შორის ბ-ნი ლანდი. ბ-ნ ლანდს არც ძალა და არც ცოდნა შესწევს კურტის როლის წარმოსადგენად; ეს როლი იმას უთუოდ იმიტომ მიანდეს, რომ სხვა აღარავინ იყო. ქალებს შორის არა უჭირდათ-რა ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს, კარგარელსა და ლეჟავას.

პიესა ქართულად კარგის ენითაა გადმოთარგმნილი. ხალხი ამ საღამოთიც ნაკლებად დაესწრო წარმოდგენას.

ია.

უცხოეთი

სამხრეთი აფრიკა. ბურებმა კვლავ მკაცრად იწყეს ინგლისელებთან ბრძოლა. ოფიციალური დეპეშა კიტჩენერისა პრეტორიიდან იუწყება ინგლისელების ორ დიდ დამარცხებას ტარკასთან და უტრეხტთან. ნამეტან საგრძნობელი ყოფილა უტრეხტთან დამარცხება.

სამი როტა ცხენით მოსიარულე ქვეითა ჯარისა სამი ზარბაზნით პოლკოვნიკ გუგის მეთაურობით და იოჰანესბურგის ქვეითა ჯარის ნაწილი სტევარტის მეთაურობით უტრეხტის სამხრეთით მტერსა ჰზვერავდნენ, როდესაც შენიშნეს ბლოოდრივერ-პორტში მიმავალი 300 ბურ. ბურები, ეტყობოდათ, ძრიელ მიისწრაფებოდენ. გუგის რომ უფრო მოხერხებული პოზიცია დაეჭირა, ბლოოდრივერის მახლობლად მდებარე მაღლობებისაკენ გაექანა და სტევარტს კი ბრძანება გაუგზავნა, დაუყოვნებლივ შეერთებოდა მას. ბურების მოძრაობა თურმე თვალთმაქცობა ყოფილიყო. გუგი მიახლოვდა თუ არა დანიშნულ მაღლობებს, ბურების რაზმმა შეუტია წინადგან და მარჯვენა მხრიდან, სტევარტმაც დაიგვიანა და მთელი ჯარი და ზარბაზნები ბურებს შერჩათ ხელში. ინგლისელებს მოუკლეს 2 ოფიცერი, 14 ჯარის კაცი, დაუჭრეს 1 კაპიტანი, 25 ჯარის კაცი, ტყვედ ჩაიგდეს 5 ოფიცერი და 150 ჯარის კაცი.

კიტჩენერი იუწყება, ამ ბრძოლაში ბოტას ჯარი იღებდა მონაწილეობასაო, და რადგანაც ბრძოლა უტრეხტთან მოხდა, ეტყობა, ბოტა ნატალში მიილტვისო. პიტერმარიცბურგიდან აუწყებენ შოვინისტიურ გაზ. „Daily Mail“-ს, რომ მთელი ცხენოსანი ჯარი და ნატალის თავისუფალი ჯარის კაცნი უკვე მზად არიან. საერთოდ

გაამძლობსო და ქიზიყის უმოსავლობა კი კახეთსაც დაამშევსო.—იტყვიან ყე და მართალიც არი.

— მიდის, მიდის, კაცებო, რო უყოროთ, ამ დღეთა და ამ ღამეთ ქიზიყის ოთხსავ-კუთხიდამ გაყიდული ძროხა ქალაქისაყენ, რო ფეხს ვერ აუქცევთ. თითო იგეთ მუშა ხარ-კამეჩსა ჰყიდიან ტანა-მოზვრის ფასათ, რო იმათი პატრონი შვილს-კი გაიმეტებდა კაი დროში და იმათ-კი ვერ დაჰთმობდა, მაგრამ მეტი რა ჩარაა, გაჭირებას ყველა ფეხებზე ჰკიდიაო, მართალი ყოფილა. ეჰ, შენ დაილოცე, უფალო, იღუპება ხალხი, იღუპება გაჭირების მორევში, მაგრამ ჩვენი გულის ვაება და მწუხარება არავის ესმის. იმ დღეს იგეთი ღომივით ხარი გავყიდე მეც პურისათვინ, რომ მუჰტი ტოლტოლა ცრემლები გადმამცვივდა, რო წაიყვანს. ეხლაც-კი იგრე მწუხარეთ მიტირის ეს ტიალი გული, რო შვილი სიკვდილზედაც არ უტირნია ეგრე სამწვავისათ,—ამ ლაპარაკში გულ-აკორკოტებული შუახნის კაცს თვალები ბჭყვრიალა ცრემლებით აევსო.

— ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! რა გული გაკტეხიათ და სიცივისაგან დადურალულ ცხვარივით ყურები ჩამოგიყრიათ! დაუსრულებელი ჭირი და ლხინი ღმერთს არ გაუჩენია, ყველა სიზმარივით გაირბენსო, და კიდევ ღმერთია მოწყალე კაცისა დაკარგულისაო, კაცებო! კარგია, გეყოფათ, ნულა ჰწუწუნებთ კუდბაწარა ქვრივი დედაკაცებივით! მახარობელი ვარ: ხორცი გირვანქა შაური გახდა და უფრო დაგვიაფდება, გიხაროდეთ!—ცქლაფა-ცქლუფით დააყარა ახლად წვერ-ულვაშ ამწვანებულმა ბიჭმა.

— ეგ-არიიი! გაუსვი და გამოუსვი, მითამ ჭიანურიაო! აბა, შენ რის დარდი გაქვ გაფხეკილ ღლიღვას, შასანახი არავინა გყავ და დასამარხი, შინ კატა არას შაგიჭამს და გარეთ ძაღლი. ერთი თავი გაქვს, ყველგან გამაჰძღები ლობემძვრალა წრიპინა ჩიტივით და უდარდელათ იკუნტრუშებ, როგორც ვირეჩი გაზაფხულის მწვანეზე. ფეხებზე გკიდია, ჩემ გულში-კი რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ბებრიჯარასავით. აბა შენც გამაიარე დაცოლშვილიანებულმა სიღატაკის ათასნაირი ქარ-ცეცხლი, რო კისერი მჟაუნა-ნაჭამ კუივით გაგიწვრილდეს ჭირის ოფლში გაწუწულს, და მაშინ მაგიჰთანებს აღარ დაუკრამ თავმამწონე მამლაყინწასავით.

— ჰმ! წა-წა-წა! აი, დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! გაგიგონიათ, ქრისტიანებო, ეგეთი გულ-მოუბრუნებელი ღვთის წყრომა! აი მარიამობის თვეც განახევრდა და სამი თვე სრულდება, ცას ნამი არ გაჰვარდნია. ძროხა შიმშილით იხოცება გადახრუკულ-ჯიტლიკანა მინდორზე, და რა ვიცი, როდისღა გვეღირსება ცის ნამი, რო გუთნი ხარისათვისაც პატატინა საძოვარი მოვიდეს შორო ქანზე და აზატი საქონელიც შიმშილით არ გაგვიწყდეს. პა-პა-პა, კაცებო, აწ როგორ საკურვლათ დახეჩილა ი ვერანა მინდორი უდიერი გვალვისაგან: საქონელს ფეხი უვარდება დახეჩილეპში. ი სატიალო ოლეც ხო დაშრა. საწყალ გოჭიკუდას ობოლა ფურს ფეხი ჩაჰვარდნია ნაოლარის გახეთქილში და მაჰტეხია. წადი ეხლა შესა-და გარკინტიწებულ მიწას გუთანი მაჰკიდე! თუ კაი ღონიერი წვიმა არ მოვიდა, ნამჯობი და ნაფეტვარიც არ მაიხვნება, და გატყირპული კაჭახუნი ხო ტალივით იქნება, ის ბალთამანი!.

— დაბერდნენ ი გასავერანებელი ღრუბლები, დაბერდნენ, დაიწკრიტნენ და იმიტო ნამი აღარა ჰვარდებათ წლეულ, იმ ჩვენი ცოდვით ჯოჯოხეთის გენიაში ჩასაბუგავებს! გულ-გამეხებით დაიბობოქრა ბერიკაცმა და ქინქველა-ნაჭამ დათვივით დაიწყეს სხვებმაც ღრუბლებზე გულ-გარისხებული ბუტბუტი.

— რას ამოფ, ეი! ყანყრი! ქკვას რო არიგებდნენ, შენ მაშინ სად იყავ? ღრუბლებს ვინ რასა ჰკითხავს ბარი ათ შაურათ არიო, შე გამოჩერჩეტებულო ტეტიავ! აგეი მაღალ მთის წვერზე არწივივით წამოპოლორწიკებულ ღრუბელთა წინა-მძღვარ ელიას უნდა დაუშინო გძელ-ყინწა წერაქვი ი საძირკველში და ქოროღლივით დაჰჭყივლო ზედიზედ: რაზე დაგვღუპე წლევანდელი წელიწადი და რატო ეხლა მაინც არ მოგყავ წვიმა, შე ოჯახ-ამოსაწყვეტო და სახლ-კარ ცასაქცეო თქო!—ოხუნჯურის კილოთი უთხრა ბერიკაცს კინტოურად ჩაცმულმა ბიჭმა და ზოგიერთებმა სიცილი დაიწყეს.

— ჰო-და, აბა ემაგიტო მოგვარგინა კიდეც ზეციერმა მამა-უფალმა ჩვენი ცოდვისა, რო ქრისტიანი სული აღარავის გვიდგა. კიდე კარგია წარღვნა არ მოდის, თქვენითანა ვეტრანა სარსაღები რო სათაყვანო წმინდანებზედაც კი ემაგიჰთანა მურდალ სიტყვებსა ლაპარაკობენ უნამუსო ღრეჭა-კრეჭით. შე მასკვლავ-ძაღლო! რატო ან ღვთისაგან არ გეშინიან ან ადამიანისაგან არა გრცხვენიან! მაგრამ ძაღლისა ბატკანი ვის უნახამ, პირ-წავარდნილი მამაა, კაცებო, ეს მაშენებელ-ძაღლი! არა, შე ძაღლის ნაქნარო, წმინდანს მაგითანა სიტყვა-პასუხს აკადრებენ! ან რათ ეკუთნის ეგეთ მოხუცებულ კაცს ყანყრია დაუძახო, რა შენი ტოლია! ამისი ამაგი მაინც რატო არ გაგონდება, შე სიკეთე-დაუნახაო უმადურო! ამას რო არ გამაეთრივნე ალაზანში ჩავარდნილი ცინგლიანი ღლაპი, დღესაც სულიან-ხორციანათ დაკარგული იქნებოდი უგზო-უკვლოთ, შე კისერ-მოსატეხო! მაგრამ, ეჰ, შვილოსა, რა ველაპარაკო შენიჰთანა ეშმაკის კვერცხსა და ვირის კართოფილს, დედის ძუძუს გაუზდიხარ, ის აღარ გახსოვს, და ამის სიკეთეს როგორ-ღა დაიხსომებდი. აი, დედამიწა გაგისქდეთ და ჩაძვერით ზიგ თქვენი თითო ფუთიანი ვერცხლის ქამრებითა და პაპიროზებით, კაი არ-გამოსაჰზდელი პაჟარნები და ქკვა-ძაღლი კინტოები თქვენ გამოგვეზარდენით ქვეყნის წასამურდლათ!.. გულ-ბრაზიანად წარმოსთქვა ხანში შესულმა ჯოლოლამ, რომელსაც „ჩხუბას“ ეძახდნენ მეტსახელად, რადგანაც ყველგან და ყველასთან უშიშრად პირში შებმა და ჩხუბი უყვარდა ხმა-მაღლა ჭიხჭიხით.

ჩხუბას მეტ-სახელად „სიტყვის გუდასაც“ ეძახდნენ სოფელში, „ენამრავალსაც“, „შხამის გუდასაც,“ „ყბედუცანასაც“ და „ძაღლის ყბასაც“, რადგანაც „ყბა-დაუყენებლად ტარტარებდა შინ თუ გარეთ“ ქიზიყური მკვახე-მკვახე სიტყვების გამოსროლით. მისს „ყბა-დაუყენებელ ტარტარს“ ჯერ თავისი თან-დაყოლილი ნიჭი მეტყველებისა შესწევდა და მერე ქიზიყის ერის გამჭრიახე ზეპირ-მეტყველების ულეველი ფრაზეოლოგია ანუ მზა-სამეტყველო გამოთქმანი, რომელნიც აზრის მოკლედ, ნათლად და ძლიერად გამოსათქმელად შეუმუშავებიათ მრავალ-საუკუნოების განმავლობაში იმ გულ-ამაყ და ქედ-მოუხრელ, უბატონო ქიზიყელებს, რომელთაც თავისუფლად უვარჯიშებიათ და უაზროვნებიათ თავიანთი ენაც და გულ-გონებაც, და რომელნიც ყველაფრით განსხვავებულნი ყოფილან დამჩაგვრელ ბატონების მძიმე უღელ-ქვეშ ყოველსავე ადამიანურ უფლებას მოკლებულ, უენო ყმა-მონებისაგან.

თერგ-დალეული.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ომი ეხლა იწყებაო.

ასეთმა ცნობებმა ძრიელ ცუდად იმოქმედეს ინგლისურ პრესაზედ, როგორც ლიბერალურზედ, აგრეთვე კონსერვატიულზედ.

—გაზ. „Daily Graphic“-ის სიტყვით, ასეთი დამარცხება ინგლისის ჯარს ძრიელ არევ-დარევს. ბურების უბრალო სტრატეგიული ხერხიც კი ვერ გაუგიათ ინგლისის ჯარის უფროსებს. გაზ. „Standard“-სიტყვით, ასეთ დამარცხებას ძრიელ ცუდი გავლენა უნდა ჰქონოდა იმ მხარეში, სადაც დარწმუნებულნი იყვნენ, დამორჩილების ეპოქა უკვე გათავდაო.

სარდალ ბოტას ჯარს დღითი დღე ემატებიან კაპის ჰოლანდიელები. ამ უკანასკნელთ ჰსწამთ ინგლისელების ულონობა, მათი საბოლოოდ დამარცხება და ამიტომაც ასე გულიანათ სდებენ თავსა ბურებთან ერთად. პრეზიდენტ კრიუგერის მახლობელ წრეში ჰსწამთ, რომ ინგლისელთა პირველსავე თვალსაჩინო დამარცხების შემდეგ კაპის ახალშენი მთლად ფეხზედ დადგებაო.

— გაზ. „Daily Mail“ იუწყება: პრეზიდენტი კრიუგერი ამზადებს ომის შესახებ ვრცელ მოხსენებას რუზველტთან გასაგზავნად. ახალი პრეზიდენტი ბურებს უფრო სიმპატიურის თვალით უყურებს, ვიდრე მაკ-კინლეი უყურებდა და კრიუგერს სჯერა, რომ ეხლა ამერიკა ომში ჩაერევა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

როცა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა განახლებულ იქმნა და არჩეულ იქმნენ ახალნი წევრნი, ერთ ამ უკანასკნელთაგანს გაუგზავნე ჩემი დრამატიული პოემა „მწირი-სარდალი“ (ეს პოემა შარშან, გაზაფხულზე, წავიკითხე კიდეც ტფილისში, ერთს პატივცემულს ქართველს ოჯახში რამდენისამე საერთო ნაცნობის თანადასწრებით და მის შესახებ პატარა შენიშვნები უკვე იყო მაშინდელს „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელშიაც“) და ვსთხოვე, ჯერ თვითონ წაეკითხა ხელთნაწერი და, თუ მოიწონებდა, გადაეცა განსახილველად მთელი გამგეობისათვის, რომელსაც თავის მხრივ, თუ ღირსად სცნობდა, უნდა შეეძინა იგი სცენაზე დასადგმელად.

ეს იყო ივნისის დასაწყისში და, რადგან ამ ხნის განმავლობაში (მესამე თვე შესრულდა) არაფერი პასუხი აღარ მიმიღია არავისაგან, გადავწყვიტე, ალბად, უვარგისად უცვნიათ ჩემი დრამატიული პოემა მეთქი და მივსწერე კიდეც ერთს ჩემს ტფილისელ ნაცნობს, რომელსაც გზა აქეთ ჰქონდა, გამოერთმია ჩემი ხელთნაწერი მისთვის, ვისთანაც იყო გაგზავნილი, და წამოეღო.

წარმოიდგინეთ ამის შემდეგ ჩემი გაკვირვება, როცა გაზეთ „ცნობის ფურცელის“ № 1572-ში მოთავსებული ბ. გიორგი დეკანოზიშვილის წერილში „ჩვენი თეატრი“, სადაც პატივცემული ავტორი (მე მისთვის არ გამიგზავნია ჩემი ხელ-ნაწერი) საზოგადოდ არჩევს ახალს პიესებს, ჩემი დრამატიული პოემის სახელიც ამოვიკითხე. ბ. გიორგი დეკანოზიშვილს მოსურვებია გაეგო, როგორც ახლად არჩეულ წევრს დრამატიულ გამგეობისას, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენი სადრამო ხელოვნება და ამ მიზნით „მისალმებია“ გამგეობის წიგნთ-საცავს, სადაც, სხვათა შორის, უპოვნია ჩემი ხელნაწერიც.

ჯერ ერთი, სანამ უკანასკნელი წიგნთ-საცავში მოხვდებოდა, მე უნდა შემეტყო, მოწონებულია იგი და მიღებული იმ პირობით, რომლებიც ჩემგან იყო წარდგენილი, თუ არა? ამ შემთხვევაში სულაც არ უნდა გაჩენილიყო იგი წიგნთ-საცავში და უკანვე გამოგზავნილიყო ჩემთან; მით უმეტეს არავითარს მსჯელობასა და კრიტიკას გაზეთის ფურცლებზედ მის შესახებ ადგილი არ უნდა ჰქონოდა! მაგრამ დავანებოთ საქმის ფორმალურ მხარეს თავი და შევეხოთ არსებითად ბ. გიორგი დეკანოზიშვილის წერილს.

ბ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრი, სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, ერთობ უტაქტოდ იქცევა, როცა ჩამოსთვლის ახალ პიესათა სახელებს და, რუსები რომ იტყვიან: гуртомъ, ყველას ერთად წესს უგებს; მართალია, ავტორთა ვინაობას არ აცხადებს, მაგრამ უმეტესობა დასახელებულ პიესებისა ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია იცის, ვისიც არის, რადგან „თელაველი ოტელლო“ ათ წელიწადზედ მეტია დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ და, მგონი, ნათამაშევია კიდეც; „ირინეს ბედნიერება“ აგრეთვე დაბეჭდილი იყო ჟურნალს „მოამბე“-ში, „იანიჩარი“ შარშანდელს სეზონში წარმოდგენილი იყო ტფილისის სცენაზედ და ამ ჟამად იბეჭდება კიდეც ჟურნალს „მოგზაურში“ და ჩემი „მწირი-სარდალი“, თუმცა ჯერ არსად დაბეჭდილა, როგორც ზემოდ ვსთქვი, ცნობილია მკითხველ საზოგადოებისათვის. ასე და ამ გვარად, შვიდ დასახელებულ პიესიდან, რომელთა „სახელებიც ბ. გიორგი დეკანოზიშვილს არ მოჰყავს, რადგან მათი თვითოეული გარჩევა არა ჰსურს“, მხოლოდ სამი პიესა დარჩა მართლა ახალი და მკითხველ საზოგადოებისთვის უცნობი, თუმცა, ჩემის აზრით, არც უცნობ პიესებს უნდა მოჰქცეოდა ბ. ავტორი ისე უდიერადა და დომხალივით აერია ერთმანერთში!

მართლაც, ერთი ვიკითხოთ, რა აზრი აქვს ბ. გიორგი დეკანოზიშვილის წერილს?.

ყოველს კრიტიკულს შენიშვნას ის აზრი უნდა ჰქონდეს, რომ ან თხზულების ავტორს უჩვენოს ნაკლულევანება და ღირსება თხზულებისა, პირველის თავიდან ასაცილებლად მომავალში და მეორის უფრო განსამტკიცებლად და ან მკითხველ საზოგადოებას აუხსნას, რანაირ თხზულებასთანაც აქვს საქმე; კარგზე მიუთითოს და ცუდისაგან გააფრთხილოს. ხოლო ბ. გიორგი დეკანოზიშვილის წერილი არც ერთ ამ მიზანს არ აკმაყოფილებს და, მაშასადამე, უაზრო და უადგილოა.

დიახ, ბ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრო, რაღაი შრომას კისრულობთ, ისე უნდა იშრომოთ, რომ თქვენს შრომას რაიმე ნაყოფი მოჰყვეს: ჩვენ, ავტორებმა ნათლად დავინახოთ ჩვენი შეცდომები, ეგებ მომავალში თავიდან ავიცილოთ ისინი და უმჯობესი პიესები შევქმნათ და მკითხველმა საზოგადოებამაც აშკარად დაინახოს, რომლის პიესას რა ნაკლი აქვს!

არც ერთი პიესა არ ვარგა, ყველას საერთოდ აქვს ის ნაკლულევანებანი, რაც მე დავასახელე და ცალკ-ცალკე მათზედ ლაპარაკი არა ღირსო, იტყვით თქვენ. უკაცრავად ნუ ვიქნები და ამაზედ მე ჩემ თავად მოვახსენებთ, რომ შემცდარი ბრძანდებით, თუ საზოგადოდ არა, კერძოდ ჩემი პიესის შესახებ მაინც! თქვენ ამბობთ:

ჩვენს მწერლებსო „უჭირთ ბოლომდე, უკანასკნელ მოქმედებამდე ანვითარონ ერთი და იგივე საგანი... არც ერთს ახალს პიესაში ვერ ნახავთ ბუნებრივ, უხიფათო და შეუწყვეტელს წინ სვლას მიზნისკენ, თქვენი აზრი ხან ერთს მოქმედებაში მოწყდება, ხან მეორეში, ასე რომ თეატრში მაყურებელმა უნდა იხტუნოს ერთი სფერიდან მეორეში და ბოლოს, რასაკვირველია, დაჰკარგოს თავისი გზა და კვალი... ერთ უმთავრესს ნაკლს ახალ პიესებისას შეადგენს უგრძნობიერო წარმოდგენა იდეისა ანუ ფაქტისა. თითქმის არც ერთს მათგანს არ შეუძლიან გრძნობიერი და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე; კომედიებში არ არსებობს ნამდვილი კომიზმი, არამედ სიტყვების ოხუნჯობა, დრამებში არ არსებობს ბუნებრივი დრამატიული ბრძოლა..., არამედ სცენები გავსილია დრამატიული ეფექტებით, ნერვულ აღელვებით, ჩხუბით, სიკვდილით და ბოლოს გამოყვანილია ჩვეულებრივი რეცეპტი: ბოროტების ანუ სიავის დასჯა და სიკეთის დაჯილდოება“.

მე არ ვამბობ, რომ ჩემი დრამატიული პოემა, როგორც სალიტერატურო და კერძოდ სასცენო ნაწარმოები, უნაკლულოა, ხოლო ცილისწამებად მიმაჩნია ზემოდ მოყვანილი ნაკლულევანებათა მისთვის მითვისება და ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ბ. გიორგი დეკანოზიშვილს, ცალკე გაარჩიოს იგი და თავისი აზრის დასამტკიცებლად საბუთები მოიყვანოს; წინააღმდეგს შემთხვევაში უნდა აღვიარო, რომ მას, როცა თავის წერილს სწერდა, **არ** ჰქონია წაკითხული ჩემი პოემა; **ან**, თუ ჰქონია, მისი ვერა გაუგიარა.

„სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“, ამბობს ჩვენი ხალხი; მეც დასაბუთებულსა და პირუთვნელს კრიტიკას სიამოვნებით მივიღებ ყოველთვის, რადგან თვით ჩემთვის არის სასარგებლო, როგორც მწერლისთვის, ჩემის ნაწერების ნაკლულევანებათა შეგნება და მათი თავიდან აცილება, ხოლო დაუსაბუთებელს, ბ. კიტა აბაშიძისებურს ჩემ შესახებ, კრიტიკას-კი, ყოველთვის ანგარიშს გავუწევ და თავის სახელს ვუწოდებ...

დუტუ მეგრელი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

17 სექტემბერი,

პეტრბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა ხელ-ახლა ნება დართოს გაზეთ „პეტერბ. გაზეთის“ ცალკე ნომრების გაყიდვისა.

დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე 16 სექტემბერს წავიდა კარგის ჯიშის ცხენების მომშენებელ სახელმწიფო ზავოდების დასათვალიერებლად.

16 სექტემბერს, სერბია-ოსმალეთის ომის დროს, კრევიტზედ მომხდარ ბრძოლის ოცდა-ხუთის წლის შესრულების გამო ყაზანის ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი სერბიის მეფის მილანისა და სერბიის ჯარის მთავარ-სარდლის გენ. ჩერნიაევის სულის მოსახსენებლად.

ორიოლი. 16 სექტემბერს დაიწყო მისიონერთა კრება.

ბერლინი. პრინცი ცუნი ამალითურთ საღამოთი ნეაპოლში წავიდა.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთ მხარეში პურის ბაზრებზედ, პურის ფასი იწევს; მიზეზი ისაა, რომ ამ ბაზრებში დიდძალი პური მიზიდეს, ხოლო საზღვარ-გარეთ არ გააქვთ.

კონსტანტინეპოლი. პორტამ მიჰმართა რუსეთის მთავრობას და სთხოვა შუამდგომლობა გასწიოს, საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მოსაგვარებლად, ამასთან პორტამ იმედი გამოსთქვა, რომ ეს შუამდგომლობა მალე მოარიგებს საქმეს.

პარიჟი. „ფიგარო“-ში დაბეჭდილია დღეს წერილი ამ სათაურით „ნავარინიდგან დიუნკირხენამდე“. წერილში აღნიშნულია, რომ რუსეთისა და ოსმალეთის ზღვაოსანნი ერთმანეთს ჯერ კიდევ კრონშტადტში ნახვამდე შეჰხვდნენ ერთმანერთს, და რომ ერთად სისხლი დაღვარეს და სახელი მოიხვეჭეს ნავარინის ბრძოლაში. წერილში მოხსენებულია გენერალ ბოგდანოვიჩის წიგნი „ნავარინის ბრძოლა“, აგრეთვე წიგნაკები, დაწერილი და გამოცემული გენერლის მიერ ხალხში სამეფო გვარეულობისადმი სიყვარულისა და ფრანგ-რუსეთის კავშირისადმი პატივისცემის დასანერგავად.

კოპენჰაგენი. დღეს, დედოფალ ლუიზას გარდაცვალების წლის თავზედ, დანიის მეფე ქრისტიანე მეცხრე, საბერძნეთის მეფე, ქვრივი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დანიის მემკვიდრე პრინცი და სამეფო გვარეულობის სხვა წევრნი საგანგებო მატარებლით როსკილდეში წავიდნენ, სადაც ეკკლესიაში იყვნენ. დაჰყვეს რა რამოდენსამე ხანს ეკკლესიაში, უმაღლესი გვამნი საგანგებო მატარებლითვე ფრედენსბორგში დაბრუნდნე

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მ
მოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხ
ლებში ჩასმული ციფრები ტფილისის ს
თით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარ
პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისი
გან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს.
11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმ
ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5
27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილ
6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის
ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა ს
ღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის
40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის ს
ღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერ
ხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17
10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 1
ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1
48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დ
ლის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს
ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადი
დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საა
10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12
3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი—მატარებელი № 2 საღამოს 9
42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდ
დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10
17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამ
დის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის
ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამ
დის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათ
ბით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.
ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ
(8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს
15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდი
დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 1
ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდ
დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1
ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამ
დის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12
(5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილ
6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდ
გან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6
20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1
(6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილო
ვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49
(7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღ
მოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**